საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1042 2013 წლის 12 აგვისტო ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის №602 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის №602 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები:

1. განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის კმ25–კმ45 ცალკეული მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოების, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზის კმ11-კმ18,8 მონაკვეთის, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქარელი-ყინწვისის მონასტრის საავტომობილო გზის კმ0+00 კმ3+425 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გამოუყოს 8 000 000 (რვა მილიონი) ლარი.“.

2. განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, 2013-2014 წლებში უზრუნველყოს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის კმ25-კმ45 ცალკეული მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოების, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზესტაფონი-ბაღდათის საავატომობილო გზის კმ11-კმ18,8 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქარელი-ყინწვისის მონასტერის საავტომობილო გზის კმ0+00 კმ3+425 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.“.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**